

გელაქიანის პრესექტორი. აგ. მუხრანის ხსენებაში გელაქიან ქვემოთ.

ბელის-მოწერა

მოიღება თუილიში „დროება“-ს „გერმანიის“ ზედაქვეყანაში, ქუთაისში; „დროება“-ს გერმანიის „გერმანიის“ ო. ზედაქვეყანაში, თან ხელზე. გაქვე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ, въ редакцію „Дрoбeдa“-„Ивepiя“.

„დროება“-ნიმერიანი ღარი

წელიწადში 6 თვეს. პირველი დროება „დროება“-ს ერთად 14 მან. . . 8 მ. . . 5 მ. („დროება“-ს . . . 9 მან. . . 5 მ. . . 3 მ.)
ცალკე 7 მან. . . 4 მ. . . 2 მ.

ფრენკლენი

გამოდის ყოველ-დღე მუშაბათს ბაჟდა

ფასი განცხადების

დაიღა ისრაელით ისრაზე 1 კმ-ზე, ნუგულისკანაის ისრა-
ელის მხარეს, ისრაზე ნახევარი კმ-ზე, ნუგულისკანაის მხარეს
ისრაზე მეთექვსმეტი კმ-ზე.

თუ სწავლობთ პოთხოვს, ნუგულისკანაის მხარეს
და თუ სწავლობთ დანახვად, გამაგნავილ წყაროებს. და-
შუბტდელ წყაროს ნუგულისკანაის მხარეს, თუ სწავლობთ
მეთექვსმეტი კმ-ზე.

განცხადებანა მიიღება ქართულს, რუსულს და სხ-
ვა ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროების“ რედაქციის
აგენტთან.

ცალკე ნაშრომ „დროების“ დანახვა.

ნანა სეშიონის ასული გენანა
ბრეჟიანისა და ნინა ჯღერ-
ბერეს ასული გენანა აბაშიძის,
უფლით მუშარენი აუწყებენ ნა-
თქავით და მცნობთ გარდაცვა-
ლებას კნიაზის სიმონ დავითის
სა აბაშიძისას, პირველი მამი-
ის და მეორე მამამთილისას და
თხოვენ ინებონ და მოძიანდენ
მამებათს 21 აპრილს, 9 1/2 სა-
თხედ, ჭავჭავაძის ეკლესიაში,
ნაწილობრივ. (2—1)

၁၈၆၇ ခုနှစ်တွင် တရားရုံးပိတ်

დღეს, 19 აპრილს

ქართულ დრამატიულ ტრუპისაგან
წარმოდგენილ იქნება:
აბოლიმენტიის რეჟისორი

რევიზორი

კომედია 5 მოქმედებად ზოგოლისა.

ოთხშაბათს, 22 აპრილს

I

სიუვარული მკურნალობა

კომედ. 3 მოქმედ. მოლიერისა თარგმ.
ფრანცუზულიდამ დიმ. შიფიანისაგან.

II

გულგა იბრძნო

კომედია 1 მოქმედებად, თარგმანი
რუსულიდან მარიამ საფაროვისა.

ბილეთები ისყიდება ანწრუნის თეატრის კასსაში.

დასაწყისი 8 საათზე.

ტელეგრაფები

პეტერბურლი, 17 პრილი. გუშინ მო
ვიდა პეტერბურლი შუგალავი; ხდ
არის რომ იგნატეოს სახლი დანიშ
ნულება ექვეყანა; სახელმწიფო ზო
ლიდიის დეპარტამენტის დირექტო
რათ დანიშნება პრეპარირი ზღე
მა.

— სახალხო სკოლები გამწავლ
დება.

— ზოგიერთს სახელმწიფოთი ში-
რის თანხმობა ანის, რომ მასშ-
მახდეს კანფერენცია, (რჩევა) შეს-
ხებ გაქვეყნდეს პოლიტიკურ დანაშ-
ვით ზოგიერთი უფლებების წარმეცე-
მა.

ჩვენი სტუდენტების მატერიალურ
მდგომარეობაზე.

„დროებაში“ რაოდენიმე სტატია დაიბეჭდა ჩვენს უმაღლესს სასწავლებლებში მყოფ ახალ-გაზღობაზე, მის მოვალეობაზე და დანიშნულებაზე. ზემოხსენებულის სტატიებში ავტორებმა გამოხატეს—თუ რა მოვალეობა აწევს ჩვენს ახალგაზღობას ხალხის და საზოგადოების წინაშე, თუ რა ნაყოფის მოტანა შეუძლია მას თავის სტუდენტობის დროს და სხვ. და სხვ. იმ სტატიებშივე იყო მოხსენებული, თუ რაში მდგომარეობს საზოგადოთ სტუდენტობის მოთხოვნილებანი, რომელნიც ჯერ დაკმაყოფილებულნი არ არიან და რომლების დაკმაყოფილება აუცილებლათ საჭიროა ახალ-გაზღობის მდგომარეობის ცოტათი მაინც გაუმჯობესობისათვის. იყო ნათქვამი, რომ ახალ-გაზღობას ეჭირვება სრული თავისუფლება თავის კრებების შედგენისათვის, საკუთარი ბიბლიოთეკების გამართვა, კასა ერთი-ერთმანეთის დასახმარებლად, რადგან ახალ-გაზღობის მატერიალური მდგომარეობა ერთობ შევიწროებულია და სხვ. და სხვ.

ღღეს ჩვენ არაფერს არ ვიტყვი-
 თუ რა მნიშვნელობა აქვსთ ახალ-
 გაზღობისთვის თავისუფალ კრებებს.
 რომლებიც ავარჯიშებენ და ავით-
 რებენ ყმაწვილი კაცის გონებას ერთი-
 ერთმანეთთან ბაასით, ბიბლიოთეკებს,
 რომლებიც აძლევენ ახალ-გაზღობას
 საშუალებას, რომ მან თვალ-ყურით
 ადევნოს მეცნიერებას და ლიტერა-
 ტურას. ამადგებ არაფერს არ ვიტყვი-
 რადგან ვიცით, რომ ჩვენი ხმა შეიქ-
 ნება ამ შემთხვევაში ხმათ მღალაღებე-
 ლისა უდაბნოსა შინა; და ჩვენ არ
 შეგვიძლია აქ რითმე დავეხმაროთ
 ახალ-გაზღობას... ამისთვის ვილაპა-
 რაკებთ მხოლოდ იმაზე, რისიც დახ-
 მარება შესაძლებელია ჩვენი საზო-
 გადოებისაგან. ეს საგანია ახალ-გაზ-
 ღობის შევიწროებული მატერიალურ
 მდგომარეობა.

ჩვენი სტუდენტობის უმეტესობა
შეადგენს ლარიბი აზნაურების, მღვდლ-
ბის და ხანდის-ხან გლეხების შვილებს.
ბი, ე. ი. იმისთანა წრის შვილები,
რომლის მატერიალური საშუალებ-
იმდენათ მცირეა, რომ არამც თ-
არ შეუძლია შვილების გამოზრ-
უმალღეს სასწავლებლებში, არამც
თავის თავიც ვერ ურჩენია ჯეროვ-
ნათ. ბი, ამისთანა წრის ახალ-გაზ-
დობას ყოველი მატერიალური გაჭი-
რება აწევბა კისერზე: ზოგს არა აქ-
იმდენი საშვალდება, რომ შეიძინოს

საჭირო სასწავლო ნივთები, ლექციების მოსასმენათ ხშირად ვერ შეიტანს გარდასახადს, ზოგი მოკლებულია თბილ ტანისამოსს და ვისაც კი მოეპოვება, ხშირად იძულებულია დაგირავოს რაოდენიმე მანეთისათვის; ხშირათ სადგომის ფასს ვერ გარდაიდის, ხშირად სადილსაც მოკლებულია.

რასაკვირველია, ამისთანა მდგომარეობაში სტუდენტი ეძებს მატერიალურ საშუალებას, ხანდის-ხან პოულობს, მაგრამ, ვაი ამისთანა მოპოვებას! იშოვის, ეთქვათ, სულ მცირე ფასიან გაკვეთილებს რომელიმე ღარიბ ოჯახში (მდიდრის სახლში ხომ შესვლასაც ვერ გაბედავს, რადგან რიგიანი ტანსაცმელი არა აქვს) ან რამე გარდასაწერ ქაღალდებს; ამაებს იმდენი ჯაფა და დრო უნდა, რომ სწავლას უშლის და ეს მალე იმის ჯანმრთელობას დაეტყობა. რომელიმე ნიეთის გაყიდვა და დაგირავება სასაღილო ფულის მოსაპოვებლად ან ფულის სესხება ხანდის-ხან იმისთანა კაცისაგან, რომლის ხელის ჩაშორებაც ვასაც კი უნდა ზიზღობდეს პატიოსანი კაცი, ერთობ ზნეობითი დამამდაბლებელია აღაშინისათვის, ეს შეაჩევებს კაცს გაურჩევლობას მატერიალურ საშუალების მოპოვებაში, რაჟინს მას ზნეობით.

შოველი ზემოხსენებული გარემოე-
ბა ზოგს უდროოთ გზაენის სასაფ-
ლაოში სამუდამოდ ჯანმრთელობას.
აკარგინებს ღროს, რომელსაც სხვ
გარემოებაში სწავლას მოანდომებდა
უკარგავს ენერგიას და სხვ.

ბი აქედამ წარმონდგება, რო-
ჩვენ ამდენი ზნეობით და გონებით
გაცვეთილი ახალ-გაზდა კაცები გეყავს
რომლებიც საზოგადოებრივთვის არამდ
თუ უსარგებლო წევრები არიან, არა-
მედ უმცირესზე ე უფრო მაინც დ
ურგო. ეს გარემოება არის ერთი ი
მიზეზთაგანი, რომლის წყალობით
ჩვენი წარმატება ასე ნელ-ნელა მი
დის წინ. ამ გარემოების წყალობით
ჩვენმა ქვეყანამ და საზოგადოებამ
რომელსაც ასე ეჭირება პატიოსან
და ნიჭიერი მუშაკები, დაჰკარგა არა
ერთი ნიჭიერი და თავის ქვეყნის
თვის კეთილის მსურველი ახალ-გა-
და კაცი.

რითი უნდა დავხმაროს ჩვენი საზოგადოება ამ ახალგაზღვრებს. მატერიალურ გაჭირვებას მატერიალურ დახმარება უნდა, და ჩვენ ვფიქრობდით რომ ამ დახმარებას აღმოჩენა შესაძლებელი საქმეა ჩვენი საზოგადოებასათვის, ქუთაისის მთავალ-აზნაურის საადგილ-მამულო ბანკს აღმოუჩენ

დანმარება ახალ-გაზღობისათვის (თბილისის საადგილ-მამულო ბანკს კი, თუ არ ესცდებით, არა შეუწყირავს-რა ახალ-გაზღობისათვის), მაგრამ ამ შემთხვევაში რეაასი და ათასი მანეთი ბევრს ვერარას შეადგენს. საჭიროა სისტემატური დანმარება ისე, რომ ეს დანმარება ახალ-გაზღობის უმეტესობას აღმოეჩინოს წლიდგან წლამდის და იწ ნაირად, რომ რაიმე კეთილი შედეგი ჰქონდეს.

ნუ თუ ჩვენ თავად-აზნაურობას და
საზოგადოებას არ შეუძლია დააარსოს
საზოგადოება და თანხა უმადლოეს სას-
წაფელებლელში მოსწავლე ახალ-გაზ-
დობისათვის დასახმარებლად? ამისთა-
ნა საქმე შესაძლებელია და ამ გვარ-
საზოგადოებები ბევრს ალაგას არსე-
ბობენ. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ჩვე-
ნი სათავად-აზნაურო ბანკებიც და
საზოგადოებაც აღმოუჩენენ ამ საქმე
შემწეობას ფულების შეწირვით და
თაოსნობით.

ამ მოკლე ხანში შეიკრიბება ჩვენ
საადგილ-მამულო ბანკების დამაარსებელი
თავად-აზნაურობა, და კარგი
იქნება, რომ ჩვენი ახალ-გაზდობა
ღვიძლი შეილი არ დავეწყდეს და
ამ საქმეზე მოიფიქრონ; ამით თავად
აზნაურობა და საზოგადოება დაგ
ვიმტკიცებს, რომ ჯეროვანის ყუ
რადლებით შესცქერის თავის მომა
ვალს.

ს. ნა—ფი.

ახალი ამბები.

მაზეთ „ძაგაკაში“ სწერენ, რომ
ამ დღეებში ქალაქში გაჩნდნენ ცო-
ფიანი ძაღლები. ეს ისეთი უბედურე-
ბაა, რომ, სანამ კარგათ გამოაზაფხულ-
დებოდეს, საჭიროა ქალაქის ადმინი-
სტრაციამ ყოველგვარი ღონისძიებ-
ისმაროს ამ საშინელი სენის ამოსა-
კაფეგლათ.

იმავე გაზეთს სწერენ სიღნაღიდა
 რომ ღ. პ. შურცელაძეს გაუჩხრკეს
 „ძაპოლოს“ აკლდამი, რომელიც ს
 ლნაღიდამ 8 გერსტზეა.

* * *

დღეს საღამოს არის პირველი ქართული წარმოდგენა, რომელიც ხელმწიფე იმპერატორის სიკვდილის შემდეგ შეჩერებული იყო. წარმოადგენენ ზაგოლის კამედიას რეჟისორის

*
* *

თერგის ზეობიდან გვწერენ, რომ
14 ამ თვისას, ღამით, ქურდები შ
პარულან სოფლის შანების ეკლეს
აში და წაუღიათ ეკლესიიდან სხე

და-სხვა ძვირფასი ეკკლესიის სამკაუ-
ული და ტანისამოსი. ადგილობრივ
ბლალაჩინს დაუნახეს ეკკლესიაში
სამთელი, როდესაც ქურდები შიგ-
იყვნენ და დროზე მიშველდებოდა. ქურ-
დები გამოსულან ეკკლესიიდან სწო-
რეთ იმ დროს, როდესაც ბლალაჩი-
ნი დაარსებული მსახურებით მიუ-
ახლოვდა ეკკლესიას. მსროლეს რე-
ვოლუციური რამდენჯერმე და ავაზაკე-
მა ბევრი სამკაული დაარჩინეს გზაზე.
მხოლოდ ორი ვერცხლის თასი, ოქ-
როთ დაფერილი სანაწილე და მ
მანეთი ფული წაუღიათ.

ბეწერენ, რომ ეკკლესიის ყარაუ-
ლებიც მონაწილენი არიან ამ ბო-
როტ-მოქმედებისა...

* *

იმ კორრესპონდენტის გარდა, რომელიც
დღევანდელ „დროებაში“ იბეჭ-
დება, ჩვენ მივიღეთ შოთიდან ჩვენი
მეორე კორრესპონდენტისაგან შემდე-
გი ამბავი:

„ჩვეულების-მებრ, ამოდენა ავ-
დრებმა მშვიდობიანათ არ გაიარა:
წუხნის საათის ხუთზედ საღამოს
უცებ ამოვარდა ზღვის ქარი, გრიგა-
ლი, რომელიც ისეთ ნაირად მხოუ-
და, რომ კაცს ქუხილი ეგონებოდა.
ძირიანად ამოგლიჯა და დაამტვრია
ხეები. ზღვა და მდინარეები ხომ ისე
აღელვებდა, რომ კაცს ეშინოდა ღელ-
ვის ხმისა.

„ამ ძლიერმა ქარმა მოასწრო ბო-
ლოში სანდლებს; ექვსი სანდლი
გამოაგდო ზღვამ, საქონელი ყველა
სანდლებისა დაიღუპა; სამი კაცი
დაიღრჩო, ერთი სანდლიდან გადარჩა
რამოდენიმე ცალი საქონელი; სანდ-
ლები სამი ივარგეს, დანარჩენი სამი
კი სულ დამტვრეულბოდა; დამზარებელ-
ბი ორი უნახავსთ გამორიყული, მე-
სამე კი არა ჩანს.

„მადლობა ღმერთსა, აღდგომას კი
კარგი შესაფერი ღარი იყო. ხალხს
ეტყობოდა მხიარულობა, ქუჩებში
აქა-იქა დამთვრალები ეყარნენ, რა-
მოდენიმე ალაგას კეტების ტრიალიც
იყო, ბახუსის მოწყალებით; ბევრს
გაუხეტქეს თავი“.

„დროების“ კორრესპონდენტი.

ბათუმი, 14 აპრილს. „დროების“
მკითხველებმა იციან, რომ წელს 12
მარტს ბათუმში ჩვენმა „წერა-კითხვის
გამაგრებელმა საზოგადოებამ გახ-
სნა საერო სკოლა ქართველ მაჰმა-
დიანთათვის. რასაკვირველია, ბათუმში
სკოლის დაარსება ყველასთვის სასი-
ამოვნოა, რადგანაც ეს პირველი და
ერთად-ერთი სკოლაა ადგილობრივი
ქართველებისათვის.

შედა ვთქვათ მართალი, რომ თა-
ვიდამევე სკოლამ ცოტათი არ იყოს
მოგვისპო ყოველი იმედი და დაგარ-
წმუნა, რომ ბათუმის სკოლა უდრო-
თ იყო გამართული, რადგანაც მაჰ-
მადიანები არ იძლეოდნენ თავის ყმა-
წილებს; ეს აიხსნება იმით, რომ
მათ არა აქვთ ჯეროვანი წარმოდგე-

ნა სწავლის სარგებლობისა, არ ესმისთ
თუ რა სასიკეთო საქმეა, როგორც
პირად მათთვის, აგრეთვე მათი შვი-
ლებისთვის სწავლა-განათლება; გარ-
და ამისა, ისეც საფიქრებელია, რომ
თავის რჯულის სიმტკიცეზე ფიქრობ-
დნენ, არ იცოდნენ—თუ რა უნდა—
ისწავლონ მათ შვილებმა, ეშინოდათ,
რომ ისეთი რამე არ ასწავლიონ სკო-
ლაში, რომ მაჰმადიანობის წინააღ-
მდეგი იყოსო.

მაგრამ, როდესაც მათი ხოჯა,
(ხასან-ფეხლი ანანოვი), რომელიც
თათრული ენის და მაჰმადის რჯუ-
ლის მასწავლებელათ არის დანიშნუ-
ლი ამ სკოლაში, დაწმუნდა, რომ
სკოლაში რჯულის წინააღმდეგს არა-
ფერს ასწავლიან, თითო-თითომ იწ-
ყო თავის შვილების სკოლაში მიბა-
რება. ღღეს სკოლაში იმყოფებ-
თერთმეტი ყმაწილი მაჰმადიანი, მათ
შორის ერთი ქალი, ათი მმართველი-
დებელი და ხუთი კათოლიკე—სულ
26 ყმაწილი. მეტი წელს სკოლა-
ში არ მიიღება, რადგანაც მეტი აღ-
გრიც არ არის ყმაწილებისათვის.

იმედია, რომ ამ სკოლას კარგი
მომავალი ექნება, რომ ის შეძლები-
სამებრ ბევრს სარგებლობას მოუტანს
ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომ-
ელთაც ერთობ ესაჭიროებათ სწავ-
ლა. შედა შევნიშნათ ისიც, რომ
ზოგიერთ ახალ-გაზდა კაცებმა (მაჰმა-
დიანებმა) ისურვეს ქართული და
რუსული წერა-კითხვის სწავლა.

ძიღვე ორიოდ შენიშვნა ამ სკო-
ლაზედ. ბათუმის სკოლის სადგომი
ერთობ ვიწრო და მოუხერხებელია
და რადგანაც ბათუმში იმისთანა სახ-
ლი არ მოიპოვება, რომ სკოლის
ყველა მოთხოვნილება დააკმაყოფი-
ლებდეს ამისათვის აუცილებლათ სა-
ჭიროა, რომ „წერა-კითხვის საზოგა-
დოებამ“ თავის საკუთარი სახლი ააშე-
ნოს. მა აუცილებლათ საჭიროა, რად-
განაც ყმაწილების რიცხვი დღითი-
დღე მატულობს. სახლი, რასაკვირვე-
ლია, კარგათ მოთავსებული უნდა
იყოს სკოლისათვის და უსათუოდ
უნდა აშენდეს ამ მომავალი ენკენის-
თვისათვის. სასურველია, რომ „წერა-
კითხვის საზოგადოებამ“ მალე მიჰყოს
ამ საქმეს ხელი. ჩვენ იმასაც ეფიქ-
რობთ, თვით ბათუმის მცხოვრებლე-
ბი დევმარებიან საზოგადოებას ამ
საქმის დაწყებაში და შესრულებაში.

შოთი, 14 აპრილს ბუშინ სალა-
მოს მეექვსე საათზედ საშინელი ცუ-
დი ამინდი ატყდა ზღვაზედ. ისეთი
ძლიერი ქარიშხალი იყო, რომ ზო-
გიერთ ალაგას ხეები ძირიანათ მოგ-
ლიჯა.

როგორც ყოველთვის აქ ამ ბუ-
ნების მოვლინებამ არც ეხლა ჩაიარა
უმსხვერპლოთ: ამ დროს მონავე-
ლიყვნენ რეიდიდან შვიდი თათ-
რის სანდლები დატვირთული რუსე-
რის საქონლით. შეცრათ აუტყდათ
ეს საშინელი ქარიშხელი ისეთი
ძლიერებით, რომ იალქნების ჩამო-

შეებაც კი ვერ მოესწროთ საცოდა-
ვებს. ბევრი საქონელი გაუტანებიათ
აღელვებულ ზვირთებისათვის, მაგრამ
მათი შველა მაინც არ იქნა: ზღვის
ზვირთებს ყველა გაუყრია ნაპირზედ,
ზოგი მალთაყვამი და ზოგი უფრო
ქვემოთ. შოთს ქვემოთ ზღვის პირი
სულ მოფენილია თურმე პურის
ფქვილის და სხვა-და-სხვა საქონლის
ცალკებით. სანამ მებატონე აღმო-
უჩნდებოდეთ, მათ სადარაჯოა ყო-
ველგან დაყენებულია ყარაული ქუთა-
ისის ცხენოსანი ირრეგულიარული
პოლკის ადგილობრივ სოტნიდან.

მესანდლები, სამის მეტი, დიდის
გასაჭირით გადარჩენილან. სამი კი
დამხრიალა და ჯერაც არ გამოუგდია
ზღვას. საწყლები მეგრელები ყოფი-
ლან. ამ ცულდ ამინდის შედეგი სხვა
არაფერი ისმის ჯერ ზღვიდან.

აღდგომის დღეებმა ისრე ჩაიარა
ჩვენთვის როგორც წესია, რასაკვირ-
ველია. თერალებს გვერდს ვერ ვუვ-
ლიდით, ცემა-ტყევა და ხანჯლების
ტრიალი ბევრი იყო (უამისოთ, ხომ
მოგესხნებათ, ქეთეს და სიამოვნებას
გეშო არა აქვს ჩვენთვის) და სიამო-
ვნება კი, ნამდვილი სიამოვნება არა-
ფერში არ იყო რაღაც. მანსაკუთრე-
ბით შესანიშნავი ყოფილხ ხეუბი,
რომელიც მოსვლიათ მთვრალ ადგი-
ლობრივ კომანდის სალდატებს და
ამავე მდგომარეობაში მყოფ ჩვენს
ბურებს; ამბობენ, ორივე მხრით ბევ-
რი დაჭრილი და გაღაზული არიანო,
მაგრამ რამოდენათ მართალია ეს ამ-
ბავი არ ვიცი.

სხვისი საკუთრების დაფლობის მო-
ყვარენი წინანდებულათ ნაფარდობენ:
ერთ აქაურ ვაჭრის ბუგუშვილისათვის
აღდგომის პირველ ღემეს მოუპარავთ
მალაზიდვან ოთხმოც-და-ათ თუმან-
დის ფული.

გ—გული.

კიდევ ჩვენს ახალ-გაზდობაზედ.

(დასასრულია *)

ბ-ნი ს. ლ—ძის სტატიის მეორე
ნაწილის განხილვას შეუდგეთ. მს ნა-
წილი შეიცავს ჩემი პროგრამის და-
მარღვეველ საბუთებს და თავის სა-
კუთარ პროგრამის დაცვას.

თავის სტატიებში ბ-ნი ს. ლ—ძე
ცდილობს დამტკიცოს, რომ ჩვენ
ახალ-გაზდობას შეუძლია სწეროს
ისტორიული, ეტნოგრაფიული, ეკო-
ნომიური ბროშიურები და გიგინეუ-
რი ღარიგებები ჩვენი სამშობლოს
შესახებ. მე კი ვამტკიცებდი, რომ ახალ-
გაზდობას ამავის შესრულება არ
შეუძლია. მეტი და ეხდინი მას მო-
ვალეთ, რომ გააცნოს ჩვენი საზოგა-
დოება რუსეთის ცხოვრებას, ლიტე-
რატურას და მეცნიერებასთან; კიდევ
ვდებდი ვალათ ახალ-გაზდობას გარდა
სპეციალური საგნის შესწავლისა, თ-
ვის გონების განვითარებასა, შეძენას
იმისთან თეორიკული და ფილოსო-
ფიური განათლებისა, რომლის შემწეო-

ბით შეიძლება კაცობრიობის ცხოვ-
რების მოვლინება. განვხილეთ და მათი
დამოკიდებულებები განვიხილეთ.

რაც ამ სტატიის პირველ ნაწილში
ვსთქვი, ისიც საკმაოა მისთვის, რომ
მკითხველმა დაგვეთანხმოს იმაზე, რომ
ისტორიული, ეკონომიური, ეტნო-
გრაფიული ბროშიურების წერა, ჩვე-
ნი ქვეყნის და ხალხის შესახებ, ჩვენი
ახალ-გაზდობისათვის შეუძლებელია;
მაგრამ აქაც როდენიმე სიტყვას და-
ვუმატებთ.

ჩვენი ისტორია ისეთი დახლართუ-
ლია, რომ თვით გამოჩენილ ევრო-
პიელ მეცნიერებსაც კი ვერ გაურჩე-
ვიათ ის მასალა, რაც ხელში ჰქო-
ნიათ. შეტყვის ნაწილი იმისი, რაც კი
დაწერილია საქართველოზე, უფრო
მასალათ გამოსაყენებელია, ვიდრე
სახელმძღვანელოთ, რადგან მას აქეთ,
რაც ისინი დაწერილან, ბევრი რამ
შეიცვალა ისტორიულს მეცნიერება-
ში; მამასადაც, ამ თხზულებებით
ჩვენ ახალგაზდობას შეუძლია ისარ-
გებლოს როგორც მასალით, და სხვა
და სხვა ისტორიული, არხეოლოგიუ-
რი და ლინგვისტიკური ფაქტების
გარჩევა ისეთი ძნელი და შრომის
მომდომი საქმეა, რომ ახალ-გაზდობა
მას ხელს ვერ მოჰკიდებს. 20—24
წლის ახალ-გაზდა ყმაწილი თანა-
მედროე საქმეებს მისდევს, აქცევს
ყურადღებას და არა ბნელ წარსულს,
მკვლარი სიტყვების და ცივი ზედ-
წარწერების წაკითხვას; იმას უფრო
აღელვებს თანამედროე საქმეები, ხალ-
ხების თანამედროე მოძრაობა და მა-
თი წარმატება. მა აი, ამისთანა ბუ-
ნების პატრონი ადამიანი დასვით
ისტორიულ, არხეოლოგიურ, ეტნო-
გრაფიულ და ლინგვისტიკურ ფაქტე-
ბის შესწავლისათვის და დაწმუნდე-
ბით, რომ მას გონება და გული და-
ეჩლუნგება. ახალ-გაზდა ტვინი უფრო
თეორიებით სცხოვრებს, ვიდრე შე-
უძულებელის ფაქტებით.

მშლა ვსთქვათ, რომ ახალ-გაზდო-
ბამ მიჰყო ხელი ეკონომიური ბრო-
შიურების წერას ჩვენი წარსულის და
აწინდელი ცხოვრების შესახებ. რა
უნდა დასწეროს მან, როდესაც თი-
თქმის არავითარი სტატისტიკური
ცნობები არა აქვს, ან თუ აქვს, ისიც
ერთობ ცოტა და საეჭვოთ? მთქვით,
რომ ახალ-გაზდა კაცი საზოგადოლოთ
ჩამოვიდა სამშობლოში და შეუდგა
ცნობების შეკრებას; წასრულ ცხოვ-
რებაზე ხომ თითქმის ვერას გამოი-
ძიებს, გარდა მოხუცების ნაამბობი-
სა, რომელიც უფრო ანექლოტებს
შეადგენს. თანამედროე ცხოვრების
ფაქტების შეკრება ერთობ ძნელია;
ამისათვის საჭიროა მოგზაურობა, გა-
ჩხრეკა, ნება-რთვის აღება მთავრო-
ბისაგან (ეს ხომ თითქმის შეუძლე-
ბელია), გადმოწერა, ხარჯი, ერთი
სიტყვით, ბევრი ჯაფა და მეცადინეო-
ბაა საჭირო. მოველივე ესე შესაძლე-
ბელიც რომ იყოს, ჩვენ ჩვენი მხრით
ამაგებს ვერ მოვთხოვთ ახალ-გაზდო-
ბას, რომელსაც სამი, ოთხი თვის
დასვენება ეჭირება, შემდეგ სწავლი-

სა, თავის ჯანმრთელობის აღსადგენათ. მაშ ეკონომიური ბროშურების წერაც შეუძლებელი საქმეა.

წარმოვიღებოთ ახლა, რომ ახალ-გაზდა კაცმა იწყო გიგინური დარიგებების წერა; ექნება მას თუ არა საჭირო მასალა, მაგალითად იმის თაობაზე, თუ რომელი ავთოგოფობა ერევა ხალხს; იცის მან თუ არა-რა-და-რა კლიმატიურ პირობებში ცხოვრობს ჩვენი ხალხი; იცის მან თუ არა როგორ ეკონომიურ მდგომარეობაშია ჩვენი ხალხი? არა, და არა. ბარდა ამისა გიგინური დარიგებები ბევრს სარგებლობას ვერ მოუტანენ ჩვენს ხალხს; ამაზე თვით ბ. ს. ლ. მეთანხმება თავის სტატიაში.

მხლა შეუდგეთ იმის გარჩევას—თუ რამდენათ შესასრულებელია ჩვენი პროგრამის შესრულება, ე. ი. შეუძლია თუ არა ჩვენ ახალ-გაზდას გააცნოს ჩვენი საზოგადოება საზოგადოათ მეცნიერებას, რუსეთის ცხოვრებას და ლიტერატურას.

პირველ სტატიაში ჩვენ ვამბობდით:

„ბარდა სპეციალური საგნის შესწავლისა საჭიროა ახალ-გაზდასათვის საფუძვლიანი თეორეტიული განვითარების, ფილოსოფიური განათლების შეძენა.“ ბარდა ამისა ჩვენ ვსდებდით ვალათ ახალ-გაზდას, რომ რუსეთის ცხოვრება და ლიტერატურა გააცნოს ჩვენს საზოგადოებას. ამ აზრებში ბ. ს. ლ-მ ვითომ რაღაც ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგობა იპოვნა; რასაკვირველია, გიმნაზიაში კურს-მსრულოელს ყმაწილს გონება განვითარებული არა აქვს; რასაკვირველია, გიმნაზიიდან გამოსვლის და უმაღლეს სასწავლებელში შესვლისა-თანავე იმას არ შეუძლია ლიტერატურას ხელი მოჰკიდოს, მაგრამ ის ერთ და ორ წელიწადს კი არ რჩება სასწავლებელში; რაც უნდა განათლებული და მეცნიერი იყოს კაცი, ყოველთვის საშვალისამებრ თვალ-ყური უნდა ადევნოს ლიტერატურას და მეცნიერებას.

ახალ-გაზდას, როგორც ნათქვამი იყო პირველ სტატიაში, ბევრი სხვა და სხვა გარემოება შეუშუბუქებს ვრცელი თეორეტიული განათლების შეძენას, და აი, ამ განათლების შეძენის დროს შეუძლია, არამც თუ შესწავლა რომელიმე მეცნიერებისა, არამედ რუსეთის ცხოვრების დაკვირვება, რუსეთის ლიტერატურის შესწავლა. ჩვენი ახალ-გაზდას უმეტესობა იძულებულია თვალ-ყური ადევნოს რუსეთის ცხოვრებას და ლიტერატურას; და ამისათვის ჩვენ მას ვსდებდით ვალათ, რომ ჩვენ საზოგადოებას გააცნოს რუსეთი და მისი ლიტერატურა, და მით დაეხმაროს ჩვენს ჟურნალ-გაზეთობას. შეუძლია მას თუ არა ამის სისრულეში მოყვანა? მხლა ესეც გავარჩიოთ.

ჩვენი ახალ-გაზდა სცხოვრობს და სწავლობს რუსეთის ახალ-გაზდას გაველენის ქვეშ; ის ემორჩილება უმეტესობის ძალას, იმას თვალ-წინ

აქვს საუკეთესო რუსული მწერლობის თხზულება, საუკეთესო ეკონომიური, ეტნოგრაფიული და სტატისტიკური გამოკვლევა რუსეთის ცხოვრების შესახებ, რომელიც შეიცავს არა-მარტო ცარიელ ფაქტებს, არამედ მთელ მეცნიერულ თეორიებსა.

მაშასადამე, ახალ-გაზდას აქვს არა მარტო შეუმუშავებელი მასალა; მას აქვს ის, რაც ფაქტების სულის ჩამდგმელია; იმას არ დასჭირდება არ-ხივებში ჯდომა და მასალის შემუშავება. მას აქვს მრავალი სხვა-და-სხვა მიმართულების ჟურნალები და გაზეთები, რომლებიც შემწეობით შეუძლია შეისწავლოს რუსეთის ყოველ-დღიური ცხოვრება ერთი მისთვის რომ ჟურნალ-გაზეთებში მრავალი ფაქტები მოიპოვება და მეორეც მისთვის, რომ მათში გამოითქმება სხვა-და-სხვა აზრები ერთსა და იმავე ფაქტებზე, ერთსა და იმავე ცხოვრების მოვლენაზე და მხარეზე. ყოველ-დღიური ლიტერატურა დიდი აუდიტორია და ამისთვის მას დიდი გავლენა აქვს ახალ-გაზდას გონებით განვითარებაზე. ბარდა ამისა რუსულს ენაზე მოიპოვება საუკეთესო ევრიპეოლ ფილოსოფიის, მეცნიერების და პუბლიცისტების თხზულებები, რომლებიც ცოტათ თუ ბევრათ გაუადვილებს ახალ-გაზდას სხვა-და-სხვა განათლებული ხალხების მდგომარეობის, მეცნიერების და ლიტერატურის გაცნობასა და შესწავლას.

აი ეს პირობები უადვილებენ ახალ-გაზდას თავის მოვალეობის სისრულეში მოყვანას. ამ პირობების წყალობით მოსწავლე ახალ-გაზდას შეუძლია სწეროს სხვა-და-სხვა შენიშვნები, კორესპონდენციები რუსეთის ცხოვრების და ლიტერატურის შესახებ, შეუძლია სთარგმნოს ქართულს ენაზე საუკეთესო მწერლების თხზულებები; ყოველივე ამას კარგი ნაყოფი ექნება, რადგანაც ჩვენს ლიტერატურას ბევრი არა გაუკეთებია-რა ჩვენი საზოგადოების რუსეთის ცხოვრებასთან და ლიტერატურასთან გაცნობისათვის.

პირველ სტატიაშიც ვამბობდი, ახალ-გაზდას ისეთ პროგრამას უნდა მოჰკიდოს ხელი, რომლის შესრულებასაც „თვით სტუდენტობის მდგომარეობა, ვითარება უნდა ეხმარებოდეს“. სტუდენტ-იურისტს თავის სტუდენტური მდგომარეობა ეხმარება შესწავლას მეცნიერულად რომელიმე საგანი, მაგალითად ენობა (сем-ство) და გააცნოს იგი ჩვენს საზოგადოებას. ბუნებითი მეცნიერების ფაკულტეტის სტუდენტს თავისი სპეციალურ საგნის სწავლა ეხმარება, შეისწავლოს მაგალითად ღარინის ან სხვა რომელიმე მეცნიერის თეორია და გააცნოს იგი ჩვენს საზოგადოებას და სხე. და სხე. მაეც სასარგებლო იქნებოდა.

საზოგადოათ კი მთელი ახალ-გაზდას მდგომარეობა ისეთია, რომ მან არა თუ მარტო თავის სპეციალური საგანი უნდა შეისწავლოს,

არამედ იძულებულია თვალ-ყური ადევნოს რუსეთის ცხოვრებას და ლიტერატურას.

ზემო-ნათქვამიდან მკითხველი დაინახავს, რომ ახალ-გაზდას თავის სტუდენტური მდგომარეობა არ ეხმარება ბ. ს. ლორთქიფანიძის პროგრამის სისრულეში მოყვანას, ე. ი. ისტორიული, ეტნოგრაფიული, ეკონომიური და გიგინური ბროშურების წერას ჩვენი ხალხის ცხოვრების შესახებ.

ორიოდე შენიშვნა კიდევ:

პირველ სტატიაში ვამბობდი, რომ რუსეთის ახალ-გაზდას „კარგა ხანია, რაც გამოიცნა“, თუ რა დამოკიდებულება არის ხალხის გიგინურ ცხოვრებისა და მისი ეკონომიური და სოციალური მდგომარეობის შორის. ბ. ს. ლ—მ ამაზე გვიპასუხებს, რომ „ეს საგნები უფრო ადრე დასავლეთ მეროპაში იყვნენ გამოკვლეული, მაგრამ ამ დამოკიდებულების შეგნებას ვერ მოუხპია რუსეთში ტიფი, ყვავილი, დიფტერიტა, ქამი და სხვა ამ გვარი ავთოგოფობა“.

ამაზე ჩვენც შესაფერი პასუხს მივცემთ: თუმცა რუსეთში ერთობ ბევრი გიგინური ბროშურები და დარიგება უწერიათ და დღესაც ბევრს სწერენ, მაგრამ ზემოხსენებულნი ავთოგოფობები არა თუ შემცირდნენ, არამედ უფრო განძლიერდნენ და უმოწყალოთ ქლევდნენ ხალხს.

მაგრამ რომელიმე ქემპარიტების მარტო გამოცნობა საკმაო არ არის იმისთვის, რომ ამ ქემპარიტებამ გავლენა იქონიოს ხალხის კეთილდღეობაზე; საჭიროა გამგონი და გამგები.

ა. ნ—ლი.

რუსეთი

ხელმწიფე იმპერატორის მკვლევების ჩამოღობის თაობაზედ ორი სამხედრო-გარეთელი გაზეთები, „Daily News“ და „Kölnische Zeitung“ მოიყვანენ იმ საშვალბებსაც, რომლითაც შეიძლება შეაჩეროს ნიგილისტების გავრცელება რუსეთში. მოგვყავს ამ გაზეთების ჰაზრი ამ საქმის შესახებ რუსულ გაზეთ „მოსკოვის ტელეგრაფი“.

„Daily News“-ის ჰაზრით: რაც ბედი ეწიათ რუსეთის დამნაშავეებთ, ისევე ბედი ხედებოდა დამნაშავეთ-კაცებსაც და ქალებსაც სხვა სამხელმწიფოებშიც. მაგალითად გაზეთს მოჰყავს თავისუფალი ამერიკა, სადაც ჩამოღობით სიკვდილი გარდუწყვითეს ქალს, რომელსაც მონაწილეობა მიეღო პრეზიდენტი ლინკოლნის სიკვდილში. დანაშაულის სრულებით ეშვასამება ამ გვარი დასჯა. მაგრამ ამას გარდა არის კიდევ სხვა კითხვები ამ საქმეში. მართი უმთავრესი იმათგანი: რა საშვალბები უნდა იხმაროს კაცმა, რომ მოიპოს ნიგილისტობა? ბაზეთის აზრით, ნიგილისტების წყალობა რუსეთში არის კანონის სისულ-

ტე, ბეჭდვის თავისუფლების დაჩაგვრა, გარდამეტებული სამხედრო ჰაზრი ახალ-ახალი ადგილებზე. დასაწყისა ლათ. ბარდა ამ მიზეზებისა დიდ-ძალი დატუსაღება და ურიცხვი ადმინისტრაციულის წესით გაგზავნა. ამისათვის, ამბობს „Daily News“-ი, მარტო სასტიკად მოპყრობა ნიგილისტების ჰაზრების გასაფრცვლებლათ არ არის საკმაო. საჭიროა ბეჭდვის სიტყვას თავისუფლად შეეძლოს სჯა ყოველ საქმეზედ და ხალხს შეუმსუბუქდეს მდგომარეობა.

— „Kölnische Zeitung“-ი ამბობს:

ახალმა ხელმწიფემ უნდა გამოიკვლიოს ნიგილისტობის გავრცელების მიზეზები და მოიპოვოს მისი მოსაპოპი საშვალბები. ის საშვალბები, რომელიც ეხლა უნდა იხმაროს რუსეთმა სამხელმწიფოების დახმარებით, სრულებითაც არ შეეგება ნიგილისტებს. ნიგილისტობის ფესვი შენევაში, პარიკში და ლონდონში კი არ არის, თითონ რუსეთშიაო. მიგრანტები არასოდეს არ არიან საშიში არც ხელმწიფისა და არც რუსეთის წესიერებისათვისა.

— ზამოჩენილმა სამხედრო მწერალმა, კაპიტანმა მელიმა, გამოსცა ვრცელი თხზულება: „რუსეთის სამხედრო ძალა“, რომელიც ფრანკუზული კრიტიკოსებს დიდს თანაგრძობით მიუღია ამ წიგნის ავტორის გამოკვლევით, მოქმედი ჯარი, რომელიც შეუძლია ომიანობის დროს ფეხზე დააყენოს რუსეთმა, შეადგენს 60,557 აფიცრებს, 1,954,038 სალდათებს, 464,596 ცხენებს და 3,986 ზარბაზნებს. ამათ რიცხვში არის ირრეგულარული ჯარი ყველა გვარი იარაღისა, რომელთა რიცხვი ითვლება 160,000-დგ.

— როგორც სწერენ მოსკოვის გაზეთებში, მოსკოვის სამოქალაქო რჩევას ქალაქის კასილამ შეუწირავს 100,000 მან. გარდაცვალებული ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე II სამხელზედ მოსკოვში ძველის ასაგებად. ამავე მიზნისათვის ქალაქის რჩევის ხმოსანთა ხელი მოუწერიათ 40,410 მან. იმავე რჩევაში გამართულ ხელის-მოწერით კერძო პირებიდან მოუკრფიათ 17,072 მან. და 27 კ., სულ არის შეკრებილი ამ ჟამად 257,982 მ. და 27 კ.

— რამდენიმე რკინის გზის საზოგადოება შეუამდგომლობენ მთავრობასთან, რომ ქალის შრომას მიეცეს სრული თავისუფლება.

ბაზეთი „პორიადოკის“ სიტყვით ამ ჟამათ განხილვაშია ახალი წესდება ტყის შენახვისა.

უცხოეთი

ოსმალეთი. სკუტარიდამ იწერებია, რომ ღერეშ-ფაშას დაუმარცხებია ალბანიელები, მაგრამ თხოულობს ჯარით დახმარებას.

— მენილამ იწერებია, იმავე რიცხვიდამ, რომ ღერეშ-ფაშამ გაიმარ-

ჯეა ალბანელი ბაში-ბუზუკიზედი მე-
რუსეთთან და ამჟამად არაერთი სა-
შიში არ არის რკინის გზაზედ სია-
რულით მიტოვებული სკუტარა-
ში.

— როგორც ათინილამ იწერებან,
იქ მისელით ცნობა, რომ ალბანე-
ლების დამარცხებაში 4,000 კაცამი
დახარჯულა.

— მსმალეთის მთავრობასთან მო-
ლაპარაკება შესახებ წესიერების დად-
გენისა, რომლითაც უნდა მხირის და
მესალიის ნაწილები გარდაეცეს სა-
ბერძნეთს, ჯერ-ჯერობით არ გათავი-
ბულა, მაგრამ იმედი აქვთ მალე გა-
თავდეს მშვიდობიანად. წინადადება
მიეცათ, რომ მოიწვიონ ხალხთა შო-
რის კომისია, რომელსაც მინდობილი
ექნება თვალი ადევნოს ხედილი ალა-
გების სრულად გადაცემას. მსმალე-
თის მთავრობამ უნდა მისცეს ბრძა-
ნება თავის კომენდანტებს დაცლონ
ალაგები ერთი საათით წინ, სანამ
მეროპის კომისიის წევრები მოვლენ,
რომ იმათ მიიღონ გარდასაცემი ალა-
გები რომ გარდასცენ საბერძნეთს. მს-
მალეთის კომენდანტები ეალდებული
არიან ამ ალაგებიდამ გამოსვლის
დროს თან წაიყვანონ ყველა ის პი-
რები, ვინც კი ეწინააღმდეგებიან
ახალ ცვლილებას და ამას გარდა იარაღი
დააყრდნენ ყველა ოსმალელებს.

ინგლისი. ლონდონიდან იწერე-
ბიან 11 აპრილს, რომ გაზეთი „Ti-
mes“ გეაცნობებს ეითომ განზრახუ-
ლი ხალხთა შორის სიცოცხლისტების
კონგრესი (რჩევა) არ შესდგება არც
აპრილის დამლევს, არც მაისის პირ-
ველ რიცხვებში; ამაზედ სრულებით
ალარ ფიქრობენ ამ ჟამად.

ბანსხადებანი

იქიდება

როიალი

ზინგერის საკერავი მაშინა, სამხარე-
ულო ფეხი და სხვა-და-სხვა მებელი.
დაეიდოვინ ქუჩა, მოედნის ზემოთ,
სახლი № 10, ზემო სართულში.

(3—1)

სუფრის მოწყობილობა, სასუ-
ფეები, ჩაის სერვისი და სხვ. ბრიტა-
ნიის მეტალისა, მურაბა და სხვ. იფად
ინგლისის მაღაზიაში. (10—4)

თბილისის ჰველ-მოქმედებითი საზოგადოებისაგან

თბილისის ქველ-მოქმედებითი საზო-
გადოების სსდომის გარდაწყვეტილებით,
ამა წლის 21 მარტს დადგენილით და
გამოცხადებულით № 65 გაზეთი „გა-
ზეთი“, ამ საზოგადოებამ ამოიწვია
გერმო კომისია, კენისა ა. მ. მელიქოვის
თავმჯდომარეობით, დასაარსებლად თბი-
ლისში ზენგან დაუიწვარ გარდაცვა-
ლულის ხელმწიფე იმპერატორის ალექ-
სანდრე ნიკოლოზის ძის სასსოგად
თავ-შესაფარ სახლისა ობოლთა ყრბათა-

თვის, ყველა ხელისა, რეჟისა და
წოდებისა; ამ საქმისათვის საჭირო იუ-
ლი, გარდაწყვეტილია, შეიკრიბოს სე-
ლის-მოწერით.

ეს განსწავლა ცნობებს ამ საზოგა-
დოების უკვესტრატის მთავრებს, მისს
იმპერატორებით უმადლესობას ოღე-
თოდარის ასულს და საზოგადოების
თავმჯდომარემ მ. მ. ჭილავეისამ მი-
იღო შეძგომი ტელეგრამა:

„გულთხადი მოსარული ვარ თბილი-
სის ქველ-მოქმედებითი საზოგადოების
ამ გვარი გადაწყვეტილებით; მოვიწვევ
უფალს, რათა აკურთხოს მან ეგ სახლი
თქვენგან განსწავლად სადგომი.“

მლოცა.

ამ ჟამად კავკასიაში ხელის-მოწერით
რეჟის მოკრეფის ნებართვა შემოსენე-
ბულის სადგომის ასაგებად, გარდაცვა-
ლულის ხელმწიფე იმპერატორის ალექ-
სანდრე ნიკოლოზის ძის სასსოგად
უმადლესად, უკვე მიღებულია.

შეწირვა მიიღება ცალკე ხელ-მოსწერ
ფურცლებით (კომისიის ბლანკით, თავის
№, საზოგადოების ბეჭდით და კომი-
სიის თავმჯდომარის და სეკრეტარის
ხელის-მოწერით) თბილისში კომისიის
წევრებთან: კენისა ა. მ. მელიქოვისას
(ბარატინსკის ქუჩა, კავკასიის ნამესტნი-
კის თანაშემწის სადგომში), გ. ი. ოზო-
ბინისას (გუდოვიხის ქუჩაზედ, თბი-
ლისის კამენდანტის სადგომში), კენისა
ე. ა. გაგარინისას (ლაზარეტის ქუ-
ჩაზედ, თბილისის ღუბერნატორის სად-
გომში), გ. ბ. იანოვსკისას (გოლოვინის
ზროსუბეტი, თამაშოვას სახლში), ლ.
ნ. მოდვალკისთან (ჭავჭავაძის ქუჩა-
ზედ ზუბალოვის სახლში) და ს. ნ.
სტრუდევსკისთან (ირაკლის ქუჩაზედ,
იუზაშოვის სახლში, თბილისის სახად-
სო სკოლების დირექტორის სადგომში).
ქალაქს გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ
გამოგზავნონ თავიანთი შესაწირავი ამ
ადრესით:

въ Тифлисѣ, княгинѣ Александрѣ
Макаровнѣ Меликовой, Барятинская
улица, домъ Помощника Главно-ко-
мандующаго Кавказскою Арміею,
ану Княгинѣ Еленѣ Алвивиадовнѣ
Гагариной, въ квартирѣ Тифлис-
скаго Губернатора.

შემწირველთ შეუძლიანთ თავიანთი
სახელი და გვარი დაწიშონ ცალკე ფურ-
ცელზედ, რომელიც გამოგზავნილი იქნე-
ბა შესაწირავთან, ანა და თვითონ კონ-
კრეტზე. ყველა შემოსენებულ ქვას პირ-
თაგან ყოველ კვირავით გამოცხადებუ-
ლი იქნება შემწირველთა სია გაზ. „გა-
ზეთში“. ვინც შემოიტანს ფულს ხელის-
მოწერის ფურცლებით, რომელიც დარი-
გებული იქნებათ გერმო პირებს და სამ-
მართველოებს, — იმის ანგარიში გამოც-
ხადდება მაშინ, როდესაც ეს სიები და-
ბრუნებული იქნება. (3—2)

„განგებავალი კომიტეტი თბილი-
სის გუბერნიის თავად აზნაურთა
საზოგადოებისა, შუამდგომელ მოს-
წავლეთა შუამდგომლობათვის“ ამით
აცხადებს რომ ამ წლის 27 აპრილს

დილის 10 სათზედ თბილისის გუბერ-
ნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულა
ბანკის სადგომში იქნება საზოგადო-
კრება საზოგადოების წევრთა.

ბანსახილველი საგანნი:

ა) ანგარიში განმგებელი კომიტეტის
წარსული წლის მოქმედების შესახებ.

ბ) კომიტეტის წინადადება სკოლის-
თვის საკუთარი სახლის შექმნის თაბა-
ზედ. (5—4)

დასუიდავა ფასებით:

სასამთრო პალატაში 12 მანეთად;
ფუფაიკები 2 მან. 150 კ. ქვეყნის 1
მანეთად., ფოდნისები 5 კაპიკად;
თუფები 12 კაპ. თითო; ინდუსის
ბრინჯი 10 კ. გირვ.; ინგლისური კამ-
ფეტები 40 კაპიკად, და ჩაი, რომ-
ელიცა ყველგან 2 მ. 50 კ. ღირს, ის-
ედეა 1 მან. 80 კ.
ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის
გალერეაში. (20—18)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

დელა-მნა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო სკოლებში
სასმარებელი, მესამე გადასწორებული გამოცემა. ამ გამოცემაში ჩამატებულია
ოცნოდ მეტი სახლი სალსური მოთხრობა და ლექსი; სახლი ანდახები და გამო-
ცასები, შესწორებული შიხარსი და ენა სტატიებისა და რადენიმე სახლი სურ-
თი არის ჩართული. ისეილება გამოცემლის ბრიტურის მდარიაში კუკიის
ხიდის ყურში. ფასი ექვსი შაური. მაგრამ წიგნი სუთხურათ დათმობათ სა-
ხალხო სკოლების და სხვა სასწავლებლებს, როცა იეიდან ნადდს ფულსედ
ოც-და-ათს ეგ შემდარსა და კერძობირებს, როცა წაიღებენ ასს ეგ შემდო-
არსა.

ბუნების კარი ანუ საკითხავი წიგნი უმცროს კლასებში სახმარებელი,
მესამე გამოცემა ქვესმული სახლი სტატიებით და შემკული სურათებითა და
საქართველოს კარტით; ფასი თხუთმეტი შაური. ისეილება მარა ანოეთან
და სხვა წიგნების მდარიაშია, ეგ შემდარსა დათმობათ თოთხმეტ შაურათ,
ვინც თხუთმეტ ეგ შემდარსა ერთათ ნადდს ფულსედ იეიდის, ცამეტ შა-
რათ, ვინც ერთად წაიღებენ ოც-და-ათს ეგ შემდარსა და სამ ანაზათ ასი ეგ შემ-
დარსა ერთათ შეიდეკლს.

ვისაც სურს ან პირველი ან მეორე წიგნი უდაში ჩასმული მიიღოს, წიგნის
ფასს უნდა სამი შაური დაუმატოს.

როგორც დელა-მნა, ისე ბუნების კარი მოწონებლინი არიან (ре-
комендованы) და სახელმძღვანელოდ დადებულინი პეტერბურლის მსწავ-
ლულთა კამიტეტისაგან, განათლების მინისტრის დამტკიცებით. (10—5)

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულა

ბანკისაგან

ზედადხედველი კომიტეტი თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-
მამულა ბანკისა, წესდების მე-83 მუხლის ძალით, მოიწვევს ამ ბანკის
წევრთ-დამაარსებელთ ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზედ, რომელიც იქნება ამ 1881
წელს 26 აპრილს, დილის 10 საათზე, ბანკის სადგომში.

ბანსახილველი საგნები:

- 1) განხილვა და დამტკიცება ბანკის გავლით 1880 წლის ანგარიშისა (შემო-
სავალ-გასავლისა).
- 2) განსაზღვრა — თუ რაზედ უნდა დაისაზღვროს ბანკის შემოსავლიდამ საზო-
გადო საჭიროებათათვისა გადადებული ფული.
- 3) განხილვა ბანკის გამგეობის გასავლისა ამ 1881 წლისათვის.
- 4) ამოწმება ბანკის გამგეობადამ რიგით გამოსულის წევრის თ. ჩოლაყშვა-
ლის სამაგიერო წავრისა და გამგეობის წევრების სამის კანდიდატისა. (7—5)

ქუთაისის საადგილ-მამულა ბანკისაგან

ზედადხედველი კომიტეტი ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-
მამულა ბანკისა აცნობებს ხსენებულის ბანკის წევრთა, რომ ჩვეულებრი-
ვი წლიური საზოგადო კრება დაიშნულია ამ წლის 30 აპრილისათვის,
დილის თერთმეტ საათზე. ქ. ქუთაისის ბანკის გამგეობის სადგომში.

საზოგადო კრების განსახილველი საგნები არიან შემდეგნი:

1. განხილვა და დამტკიცება ბანკის ანგარიშისა 1880 წლის
2. დამტკიცება ბანკის ხარჯებისა 1881 წლისათვის.
3. შეცვლა ბანკის წესდების ზოგიერთის § §-სა.
4. დაიშნება იმ საგნებისა, თუ რაზედ უნდა მოხმარებულ იქნეს საზო-
გადო საჭიროებათათვის გადადებული ფულები.
5. ადრევეა რიგით გამოსასვლელ მსგეორ: ბანკის გამგეობის თავ-
მჯდომარისა, ორთა ზედადხედველის კამიტეტის წევრთა და ბანკის გამ-
გეობის წევრთა ერთის კანდიდატისა. (3—3)